ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ვ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.08.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №110/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ბ.-ს /სიითი № მიმართ

ადვოკატის წარმომადგენელი: მ. ნ. /სიითი № ./

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ბ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 აგვისტოს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ვ. გ. ადვოკატ დ. ბ.-ს წინააღმდეგ. საჩივრის ავტორმა ასევე მონაწილეობა მიიღო 2018 წლის 18 სექტემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 06 აგვისტოს ჩაბარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი - ყადაღის დადების თაობაზე. საჩივრის ავტორმა მოპასუხე მხარის ადვოკატს, დ. ბ.-ს აღნიშნული ინფორმაცია სატელეფონო შეტყობინების სახით მიაწოდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას მალევე დაუკავშირდა დ. ბ. და სთხოვა, სამი დღე დალოდებოდა, რადგან დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და შემდეგ შეხვდებოდა. ვ. გ.-მ უარი განუცხადა შეხვედრაზე და დ.

ბ.-მ დაურეკა მას და მიმართა შემდეგი სიტყვებით: -„შე სირო, ვინ ჩემი ფეხები ხარ, ხომ გითხარი დამელოდე, ჩამოვალ მანდ და დაგიმტვრევ თავ-ყბას“. ვ. გ. გაუთიშა ადვოკატს ტელეფონი. რის შემდეგაც, ადვოკატმა ვ. გ.-ს პირად ნომერზე შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი შეტყობინებები გააგზავნა. საჩივრის ავტორის განცხადებით დ. ბ. აშინებდა მას, რომ შანტაჟისთვის და ოჯახის დანგრევისთვის უჩივლებდა. რაზედაც ვ. გ. განუცხადა, რომ აუცილებლად მიმართავდა ეთიკის კომისიას მის წინააღმდეგ. რამოდენიმე წუთში, ვ. გ. დ. ბ.-ს ნომრიდან მიიღო შეტყობინება კვლავ შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის იყო მოპასუხე მხარე - ზ. ფ. და სურდა მასთან შეხვედრა და ლაპარაკი, ეს ნომერი ეკუთვნოდა მას და დ. ბ.-ს მანამდე მიწერილ შეტყობინებებთან დაკავშირებით კავშირი არ ჰქონდა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით მას არ სურდა დ. ბ. შეხვედრა, ვინაიდან ერთი თვით ადრე დაგეგმილი შეხვედრა ადვოკატმა თავად ჩაშალა. ვ. გ.-ს განმარტებით, აღნიშნულ შეხვედრაზე დ. ბ.-მ „საქმის გასარჩევად“ დაახვდრა მისთვის უცნობი პირები, რომელთა ხმა ესმოდა ოთახიდან. რის გამოც, საჩივრის ავტორმა გამოიძახა პატრული, პატრულის დანახვაზე დ. ბ.-მ საქმეები მოიმიზეზა და წავიდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დ. ბ. მას ხშირად ამცირებდა და მიმართავდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით, რამდენჯერმე ტელეფონითაც. პირველად, დამამცირებელი მოპრყობა გამოავლინა მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რასაც ასევე ესწრებოდა საჩივრის ავტორის ადვოკატი. დ. ბ.-ს მხრიდან დამამცირებელი მოპყრობა გრძელდებოდა მეორე და მესამე ინსტანციებში საქმის განხილვის პერიოდშიც.

1.5 სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ დ. ბ.-მ მას მიმართა შემდეგი სიტყვებით: „გამოსირებული ხარ და ამას მე აუცილებლად დავამტკიცებ უზენაესში, რადგან იქ დავუშვებ მოწმეებს და ნახე რას გიზამ“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 14 სექტემბერს, ადვოკატმა დ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება. 2018 წლის 06 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიის გამართულ სხდომაზე, დ. ბ.-ს ინტერესები წარმოადგინა მისმა ადვოკატმა, მ. ნ.-მ.

2.2 დ. ბ.-ს განცხადებით, სასამართლო განხილვაში, სადაც მოსარჩელე მხარე იყო შპს „გ.“-ის დირექტორი ვ. გ., ხოლო მოპასუხე - შპს „გ.+“, დ. ბ. წარმოადგენდა მოპასუხე მხარის ინტერესებს.

2.3 დ. ბ. წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში უარყოფს საჩივრის ავტორის მიმართ დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს. ადვოკატის განმარტებით, მას არასოდეს უთხოვია საჩივრის ავტორისთვის მასთან შეხვედრა, ასევე ადვოკატი უარყოფს საჩივრის ავტორის მიერ საპატრული პოლიციის გამოძახების ფაქტს. ადვოკატის განცხადებით, ვ. გ. ხშირად მიდიოდა მის ოფისში, გაუფრთხილებლად და არასამუშაო დროს. ასევე, საჩივრის ავტორი სხვადასხვა საიტზე ავრცელებდა ინფორმაციას, სადაც დ. ბ.-ს იხსენიებდა უდიერად და არაკომპეტენტურ ადვოკატად. დ. ბ.-ს განმარტებით, ვ. გ. ცდილობდა არაკანონიერი გზით გარიგებოდა ადვოკატს და ახორციელებდა მასზე დევნას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საქმის დასრულების შემდგომ ყოველთვის ცდილობდა, კონტაქტი არ ჰქონოდა საჩივრის ავტორთან, ვინაიდან სატელეფონო საუბრებში მისი საუბარი ადვოკატისთვის, როგორც ქალისთვის მიუღებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ბ. არ პასუბობდა ვ. გ.-ს ზარებს და საჩივრის ავტორსაც უკრძალავდა მასთან დარეკვას.

2.5 საპროცესო სხდომაზე, დ. ბ.-ს წარმომადგენელმა, მ. ნ.-მ განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდება დ. ბ.-ს მიერ ვ. გ.-ს მიმართ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობა. ამასთანავე, ვ. გ. ვერ დაადასტურა საპატრულო პოლიციის გამოძახების ფაქტი, რის დასადასტურებლად შეეძლო წარმოედგინა პატრულის მიერ შედგენილი გამოკითვის ოქმი, რასაც საპატრულო პოლიცია ყველა გამოძახებაზე ადგენს. ხოლო რაც შეეხება მიმოწერებს, მ. ნ.-ს განმარტებით აღნიშნული მიმოწერის განხორციელება დ. ბ.-ს მხრიდან არ მომხდარა. შესაბამისად, საჩივრის ავტორი ვალდებულია წარმოადგინოს ისეთი მიმოწერა, რომლითაც ავთენტურობა დადასტურებული იქნება, ვინაიდან ნებისმიერ პირს შეუძლია მსგავსი მიმოწერის შექმნა და შემდეგ წარმოდგენა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ვ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 09 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ბ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატი, დ. ბ. სატელეფონო და პირად საუბრებში ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას მას, სოციალური ქსელში განხორციელებული მიმოწერის დროს კი ადვოკატმა საჩივრის ავტორს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „სირო, პიდარასტო".

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ბ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები".

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ 9 მუხლის მე-4 ნაწილი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

5.3 ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები ადვოკატს ავალდებულებს ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას არ მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. ადვოკატის მიერ წარმოთქმული შეურაცმყოფელი ფრაზები და გამონათქვამები იწვევს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვას. ამასთანავე, ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები ავალდებულებს პროცესის მონაწილე პირთა პატივისცემას, მათ შორის მოწინააღმდეგ მხარის მიმართ პატივისცემას.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე №075/10 დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს. ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს“.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი ადვოკატის მხრიდან ხშირი შეურაცხყოფების ფაქტებზე წარმოდგენილ საჩივარში და საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მიცემული განმარტების დროს საუბრობს. ვ. გ.-მ ადვოკატის მხრიდან მისი მისამართით წარმოთქმული სიტყვების - „სირო“ და „პიდარასტოს“ დასადასტურებლად მტკიცებულების სახით სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერა წარმოადგინა. საჩივრის ავტორს სხვა შემთხვევებში განხორციელბული შეურაცხყოფის ფაქტებზე მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ადვოკატი, დ. ბ. უარყოფს მიმოწერის ფაქტს, ასევე მისმა წარმომადგენელმა, მ. ნ.-მ მიუთითებს მიმოწერის არაავთენტურობაზე.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი პირად მიმოწერის ნამდვილობის თაობაზე მხარეთა განსხვავებული პოზიცია არსებობს. შესაბამისად, საჩივრის ავტორს მის მიერ მითითებული პრეტენზიის დასადასტურებლად ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, რაც გულისხმობს იმას, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებულ ვარაუდი, რომ სადავო ქმედება ჩაიდინა ადვოკატმა.

5.7 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, მიმოწერის ფორმალურ მხარეზე, სადაც არ ჩანს მიმოწერის მხარეები. ასევე მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი მიმოწერა, როგორი სახით იქნა სოციალურ ქსელში მოპოვებული, ვინაიდან საქმეში არსებული მიმოწერა ეჭვს იწვევს მის ნამდვილობასა და სარწმუნოობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიმოწერის სადავო

ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია ის გამყარებული იქნას სხვა მასალებით, რომლითაც დადასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზიები.

5.8 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა სოციალურ ქსელში განხორციელებული მიმოწერის ავთენტურობას. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე არ წარმოეშვა დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატ, დ. ბ.-ს მხრიდან ვ. გ.-ს მიმართ შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენების თაობაზე.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ დ. ბ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №110/18 ადვოკატ დ. ბ.-ს მიმართ, /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/